



2. — 1914 მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე 21 ქრისტეშობისთვის



მარგარიტა შიხ. ქილარჯიშვილი
 ათი წლის სასცენო მოღვაწეობის გამო,
 მისი პირველი ბენეფისი ქუთაისის თეატრ-
 ში შესდგება სამშაბათს, 23 ქრისტე-
 შობისთვის.

№ 42
შინაარსი:

1. შეთაური: ა — შინაური უთანხმოება; ბ — სიღ არის გვირი? 1
 2. ს. ფაშალი შვილი — მოვალეობა 2
 3. აღ. შანშიაშვილი — ნაიარქეიობა 2
 4. რე. მი — კრიტიკა თუ გაუგებრობა 2
 5. ან კაპანაძისა — ხალხური შემოქმედება 3
 6. ჯაჯუ ჯორჯიკია 3
 7. დ. კოპალი — პეველა 4
 8. მსახიობნი: ელო ანდრონიკა შვილი; მარ. ქილარჯი შვილი 4
 6. ი. გრიშაშვილი — ცრემლების კრიოლოსანი, დამტვრეული პოემა 5
 10. მიშქოალი — პასუხი 6
 11. ქართველ მწერალთა წერილები — ლალო აღნიაშვილის წერილი სპარსეთიდან აღ. მირიანაშვილითან 7
 12. ს. აბაშელი — დამტვრეული სტრიქონები, ლექსი სევეროანინისებური 8
 13. დ. მესხი — მე შენი მესმის — შენ გესმის ჩემი 9
 14. გ. ჯაბაური — ქართულ სახალხო თეატრის ისტორია 10
 15. ვ. დათიაშვილი — ორი ფერადი 11
 16. ევ. ფურცხვანიძე — დედის მკვლელობა 11
 17. ტიხ. ჭივიშვილი — მისამაძი მიგალითი 13
 18. ქართული სახიობა 13
 19. წერილი ამბები 16
- სურათები, კარიკატურები, ხელუბეები, განცხადებანი.

თეატრი ნაძალადივი კვირას, 21 დეკემბერს 1914 წ. ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრისგან წარმოდგ. იქნება

უაჩალოები

დრამა 5 მოქმ. შილდერისა
ადგილების ფასი: 10 კ. 30 კ-დღე
დასაწყისი საღამოს 7 ს.
რეჟ. ს. ზეიმონიძე რეჟ. თან. ი. კანდელაკი
მორიგი გამგე ექ. ვახოკია

ავღლარის სახალხო თეატრი
კვირას, 21 დეკემბერს 1914 წ.
ი. ივანიძის რეჟისორობით

ღაგონეპულნი

დრ. 2 მოქმ. ივანიძისა
11
ახიკაგული სიგამარი
კომ. 3 მოქმ. ე. გუნიისი
დასაწყისი საღამოს 7 საათ.
ფასი: 50 კ. 1 კ-აღღ.
რეჟ. ი. ივანიძე
მორიგი გამგე ა. გოჩიტაშვილი

ორშაბათს 22 დეკემბერს „ჩვენი დროების“
მაგიერად გამოვა

„შაქრეპანნი“

ვაზეთი ღირს წლიურად 2 მ. 50 კ.
ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сораньянъ“ Александру Георгиевичу Мумладзе

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„ახებ კახეთისა“ ყოველ დღიური
სამეურნეო და სალიტერატურო, სახალხო
გაზეთი (ჯერჯერობით ხუთშაბათობით და
კვირაობით გამოვა.)
რედ.-გამომცემელი კ. ი. ტყავაძე
ფოსტის ადრესი: სიღნაღო, კ. ი. ტყავაძე

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„ახალი აზრი“ ყოველდღიური
საპოლიტიკო,
სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
გაზეთი სამედიკო ცენტრის ნებართვით გამოდის და
ამიტომ უზრუნველყოფილია შეჩერება-დაზურვისგან.
ბაჰამი ღირს: 1 წლით — 7 მ., 6 თვით — 4 მ. 3 თვით
— 2 მ. 50 კ., 1 თვით თბ. — 80 თბ. გარეთ — 90 კ.
საზღვარ გარეთ — ორჯერ მეტი.
კანტარის ადრესი: თბილისი, ორბელიანის
კ. № 36

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„თეში“ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით. წლით 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. თითო № — 5 კ. რედ.-გამომცემელი გრ. ღიისამიძე. მისამართი: Тифлисъ, ред. „Теми“
Ольгинская, д. Дзасамидзе, № 4.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Георгио Грггор. Бенишвили. Тифлисъ, Орбелиановская ул., № 36.
სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს
რედაქციის კან. პირადად მოლაპარაკება შეიძლება დიდ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.
ვაზეთის ავანტაჟმა პირდაპირი დამოკიდებულება უნდა იქონიოს კანტარა „განთიადან“ (პიხეილის № 18)



№ 42

წ. 11

წლიურად 5 მ., ხარვეზი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ.ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисе. Ред. „Театри да Цховреба“ Г. Имедашвили**

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საკურობისამებრ შესაწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 42

კ ვ ი რ ა 21 ძ რ ი ს ტ ე მ ო ბ ი ს თ ე ვ

1914 წ.

მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ქოველკვირეულ სათეატრო, სალიტ. სახელოვნო-სამხატვრო და საზოგ. შინაარსის ეურნალ

წელიწადი
მესამე

„**სიქსტრი** და **სხოგრაბა**“ზე

წლიურ. 5 მ.
წახ. წლ 3 მ

ჩეკლერბრევის პროგრამით ივანე გამობათლისა და იოსებ იმედაშვილის რედაქციით.

21 ძ რ ი ს ტ ე მ ო ბ ი ს თ ე ვ

შინაური

უთანხმოება უთანხმოებით იფუშება, და, ვაი, იმ ქვეყანას, რომლის შვილთ ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ...
დღევანდელმა დღმა მოვლენამ ყოველივე წვრილმანი, შენ-ჩემური უნდა დავივიწყოს და ერთ არსებად შეგვადულაბოს... დრო ამასა გვთხოვს.

უამისოდ კი ჩვენის ცხოვრების ვერც ერთი მხარე განვითარდება, წინ ვერ წავა და მუდამ სხვის საწველ ფურად ვიქმნებით...
ჯგუფური თინაობა, მომავლის განუქვრეტლობა, ისტორიულ მოვლენათა მიუღვამოლად აუწონაობა საფრთხეს განგვიმზადებს...
ასეთ უთანხმოებას ვხედავთ თითქმის ყველა ჩვენ საზოგადო-საკულტურო დაწესებულებაში და ნუ თუ ბოლოს არ მოვეუღებთ?

ისტორიული წუთი ყველას შეერთება-შეთანხმებისკენ მოგვიწოდებს და ნუ თუ დრო არ არის, ეს შევიგნოთ?!

სად არის

გმირი? მხოლოდ დროა რწმენით გატაცებულს უჭირს სიტყვა, ემორჩილება მსმენელი ერი და მასთან ერთად ეძებს გზას ხსნისას.

ისტორიულ აუცილებლობით შექმნილ პირობათ, მოხერხებულ გარემოებათ კაცი უნდა, რომ დროს ადლო აართოს და შესაფერი ნაბიჯი გადასდგას: სთქვას სათქმელი, ძალა გამოიჩინოს და სხვაკ სამოქმედოთ აიყოლიოს...

ასეთი კაცი გმირია, ძლიერი პიროვნება, ხასიათ-ნებით უძლეველი... მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეუძლიან დაქსაქსულ ძალთა გარშემოკრება...

ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც გმირი და მისი წარმომშობი ხალხი ურთიერთს უსმენენ! ვაი იმ ერს, სადაც ან ერთია, ან მეორე, — ორივე ერთად კი არა!...
... და ჩვენ შეცდომა ის არის, რომ მანანას ზეციდან ველით, მხსნელ გმირებს — შორიდან...

არა! ქართველმა ხალხმა, დემოსმა თვით უნდა შექმნას თვისი გმირები, თვის მისწრაფებათა მტკიცე გამოძახატველი!

მ ე ვ ა ლ ე მ ბ ა

...და მეც მიმიწვევს მოვალეობა, დემონის გვარ ხმით ბრძოლისა-ველად, — იქ, ქარ-ცეცხლის ღმერთს, მოძმეთა შორის, მეც წარვუდგები წარბშეუხრელად...

გულის სატრფო და დედის თვალები ჯერ კი უტრემლოდ გამაცილებენ, — დაბრუნდებიან, დაჰკეტენ კარებს და მწარედ, მწარედ დაიტირებენ...

შორსკი, ვინ იცის, ეგებ ჩემს ცივ მკერდს, ყორანიც კი არ შეეხმასუროს და ყრუ უდაბნოს, თვის ყრუ კალთაზე, მძობრი კაცისა ეუცნაუროს!..

და თუ ამ მსხვერპლით, ჰოი, სამშობლოვ! ეგ შენი ბედიც გამოიდარებს, — მაშინ გჯეროდეს, რომ სული ჩემი სიკვდილს თვით შენზეც ღრმად შეიყვარებს!..

ს. ფაშალიშვილი

ნაცარქეპობა

როდესაც კაცი რამდენიმე ხანს უცხო ქვეყანაში დაჰყოფს თავს, გაციწობს იქაურს ყოფა-ცხოვრებას და შემდეგ უბრუნდება საცქართველოს, — პირველს ამოსუნთქვისთანავე გულზე რაღაც სიმძიმე აწევია

შორს ყოფნის დროს კი აღტაცებით არ გამსქეველი; ჰფიქრობ: აი ჩავალ ჩემს სამშობლოში და მთელის ჩემის ძალღონით ვემსახურები ჩემს ხალხს.

მაგრამ სასწაული ხდება აქ კაცი ზანტდება, ზარმაცდება და ნაცარქეპობას ეძღვევა.

იმედს მაინც არ იკვეთ. ეძებ ვასავალს. გულში ფიქრობ: ჩემი ხალხის შვილნი ნიჭიერნი არიან, სხვებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ ეს რა მიზეზია, რომ სხვა, უფრო უნიჭო, ცხოვრებაში ასეთს სიმკვირცხლეს იჩენს და ჩემი კი ნახევრად ცოცხალმკვდარია?

მიხვალ ერთთან, სძინავს.

მიხვალ მეორესთან, ამოქნარებს.

მიხვალ მესამესთან, ის კი იყო დაწოლილა. და ეს მაშინ, როცა გარედ თუ შინ შრომის ქარტეხილი უნდა გუფუნებდეს.

ყველგან უქნარობა და ნაცარქეპობა.

ყველგან უსასობა და უიმედობა, ან და იმედი გარეშე ძალისა თუ მოწყობისა. თუ ეს არ არის, მაშინ: ლაპარაკი, ლაპარაკი და სულ ლაპარაკი!

და ეს ხდება მხოლოდ ინტელიგენტთა შორის, რომელთა სუნთქვაც მზამავს საქართველოს სუფთა ჰაერს.

გაურბინხარ ქალაქს. და სოფლისკენ ისწრაფვი. იქ სულ სხვა სურათია. შრომა დაუღალავი. სჩქევს სიცოცხლე, გლტვები ზრუნავენ და ბუი ბენ ოჯახისთვის და სოფლისთვის.

სიმძიმე გულიდან გშორდება. შენც ებმები ფერხულში ნეტა რაზე იმყაყებენ ეს ჩვენი ინტელიგენტები თავს ქალაქში? ვისაც კი შესწევს ძალა სოფლად მკირე რამ გააკეთოს, რატომ ნაცარქეპობას თავს არ დახვევს?

კრიტიკა თუ გაუგებრობა?

(ბ-ონ ზ. ჩხიკვაძის რეცენზიის გამო)

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე.

„თემი“ № 198)

მთელი ქართველი საზოგადოებისათვის ცხადია ბნ ფოცხვერაშვილის უტყუარი შემოქმედება და მისი ორგანიზატორული ნიჭი საყოველთაოდ აღიარებულია; აგრედვე ყველასათვის ცხადია, რომ მისი შემოქმედების ნიჭი ნამდვილ ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული; მისი მუსიკა სრულებით თავისუფალია უცხო ელემენტებისაგან, ამ მხრივ გამამხინჯებისაგან, და ამიტომ ქართველთათვის დიდს ღირებულებას წარმოადგენს. ისიც ყველამ უწყის, რომ კ. ფოცხვერაშვილმა თავისი ხანგრძლივი მუშაობით ბევრი ძვირფასი რამ შეგვიძინა. ამიტომაცაა, რომ ბ-ნი ფოცხვერაშვილი ხალხს ძლიერ უყვარს და მუდამ დიდის სიხარულით და თანაგრძნობით ეკდება ყოველ მის კონცერტს.

ქართულ პრესას რომ ხელოვნებაში ხეირიანი კრიტიკოს-რეცენზენტები ნაკლებ ოპოზიცია, ეს, სამწუხაროდ, უტყუარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ქართული გაზეთების სათიეტრო განყოფილებებს, ცოტა გამოკლებით, საქმის უტოლინარობის ბეჭედი აზის, ეს მოვლენა ერთი ათად და ასად იზრდება, როდესაც საქმე მუსიკას შეეხება ხოლომე, ოდნავად მუსიკის მკოდნეში ბრაზს იწვევს, როდესაც იგი უსამუსიკო რეცენზიას კითხულობს, ბრაზდება იმისათვის, რომ ასეთი კრიტიკა ხალხში გადის, მის ფართო მასაში ყალბი შემეცნება შეაქვს და ამით მუსიკისათვის დიდს ვნებას ზადავს. თუ ამგვარ კრიტიკასა სწერს ვინმე უფიციო, მას კიდევ შეიძლება ევატიოს, ვინაიდან უარა იცის რასა იქმნა, მაგრამ თუ ხშირად ოდნავად მუსიკის მკოდნეთაც ვხედავთ ამ რეცენზენტების როლში, იმათ ეს არ ევატიებათ.

ამიტომ არის, რომ ბ-ნი ზ. ჩხიკვაძის რეცენზიას („თემი“ № 198) მწუხარებით ვკითხულობთ. ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე მუსიკოსად ითვლება, ლოტბარობს, სკოლებში მუსიკის მასწავლებელია და მას მოეთხოვება, თუ საკრიტიკოდ კალამს ხელში აიღებს, დინჯი და

მ. თაბაიძე

სერიოზული რეცენზია დასწეროს. მუსიკაც გააჩიოს და მუსიკა შესრულებაში არ აჩიოს. ჩემთვის ცხადხედ უცხადესია, რომ როგორც ბ-ნმა დ. კასრაძემ („ახალხო ფურცელში“), ისე ბ-მა გ. საყვარელიძემ („ათეური და ცხოვრებაში“) ნამდვილი მიუღლომელი კრიტიკის ქარცეხლოში გაატარეს ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტი; გაცილებით მეტი ნაკლი აღნიშნეს, ვიდრე ბ-ნმა ზ. ჩხიკვაძემ; ამ მხრივ უკანასკნელი რეცენზია სუსტიცაა. მეც სრულიად ვეთანხმები ბ-ნ კასრაძესა და საყვარელიძეს, რომ 7 ქრისტეშობისთვის კონცერტი ფოცხვერაშვილის სხვა კონცერტებს არა ჰგავდა, მაგრამ ამავე დროს ყველამ და, ჩვენა გვგონია, თვით ბ-ნ ჩხიკვაძემაც ნკოდა, თუ რა აუწერელ დამრკოლებებით მოუხდა ბ-ნ ფოცხვერაშვილს ზემოხსენებულ კონცერტის გაწყობა; ვიცით, რამ იგი თითქოს ურეგულირებდა ავილა ესტრადაზე, ვიცით ისიც, რომ იგი უღრმეს ტრაგედიას გაიცილდა იმ დროს, როდესაც ხელში სალოტ-ბარო წყვბლა აიღო... კონცერტს ან ისე უნდა ჩაეგლო, როგორც ჩაიბრა. ან და სულ ჩაშლილიყო ისე, რომ შემდეგ მისი გამართვა აღარ შეიძლებოდა... ამას სცდილობდნენ ჩვენი მტრები..

ბ-მა ფოცხვერაშვილმა თავისი მხრით და ამხანაგების რჩევით პირველი აიჩიო, და ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ იგი, როგორც ლოტბარი, სასწაულომოქმედი: ურეგულირებდა ჩაატარა ვეებერთელა კონცერტი 200 ბავშვი მოწაფის მონაწილეობით.

ახლა გადავიდეთ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის რეცენზიის გარჩევას, მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში.

რე-მი

სალხური შამოქვაძე

(გაგანილი სოფ. ვარციულაზე ახალ ქალაქში აბრამ ბოჭორიშვილისაგან, ჩაწერილი ანეტა კაპანადის მიერ)

რასა იქ და როგორა ხარ,
ჩემო ლევან, დარღმინდო:
ღვინის სმაში მოქეითფე,
სიარულში მეტად ფრანტო?
—სინამ ახალგაზდა ვიყავ,
ვცკითე ბაბორი და პალტო,
დავბერდი და დავუძლურდი,
დავრჩი ეხლა ობლად მარტო!..
შენს ოჯახში დიოკეხე,
რატ ღვინის სმით შეიბატო!..



ჯაჯუ ჯორჯიკია

(მისი ნაწერების გამოცემის გამო)

დადი ხანი არ არას, რაც ჯაჯუ ჯორჯიკია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მისი პირველი ნაწარმოები უცხადესია „დაიბრუნდა“ 1911 წ. ქუთაისის გაზეთ „ეკლესია“-ში

თუმცა სმა-თხი წაიღწადა, რაც სწერს, მანც დადი ეურადღება დაიმსახურა მკითხველს საზოგადოებისა. მისი ნაწერები განიხილეს ქართულმა კრიტიკოსებმაც და ახალგაზრდა მწერალში შეინახეს უტყუარი ნიჭი მხატვარ მწერლისა.

ჯაჯუ ჯორჯიკია, რომლის ნამდვილი სახელიც კონსტანტინეა, დაიბადა 1855 წ., 7 ანგაზს დაბა სონში. პირველად წყუბათ სწავლას შინ მიიღო და გიმნაზიაში სწავლის შემდეგ გაემგზავრა სასწავლებლად. სწავლობდა ჰეიდეინის ინსტიტუტში, სადაც აგრანომიული ნაწილის კურსი დაასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს ქუთაისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად. დროთა უგულომართობის გამო, მან ქართულ ენის შესწავლას გვიან მოჰქვიდა ხელი. ქართულ გიმნაზიაში სამსახურის დროს იგი მოხვდა ქართულ წრეში, რომელმაც მასზე დადი გაუღვივა იქონია: ამ წრის გაუღვივებით ის დაწვავს ქართულ ლიტერატურის შესწავლას და მადე, 1911 წ., ზატანა მხატვრულ მინიატურ-მოთხრობების წერაც დაიწყო ქუთაისურ „ეკლესია“-სა და მის მომდევნო გაზეთებში.

ამ უამად ცნავე წიგნად გამოდის მისი რჩეული ნაწერები, წიგნი 300 გვერდზე მეტი იქნება, კარგ ქადაგზე დაეგეჭვილი.

კ ე კ ე ლ ა

ბიძი

(საოქოთი
ფურცელი)

(ძღვან. ზ. ნატროშვილს)

ირველიც ბნელა...
დაჭრის ნელა
ცინათელა
და ზეპელა.



ის ცად ნათობს,
ეს ვარდს არობს,
ის ნავარდობს
ის კი დარდობს

ის ანათებს —
არ აღაქებს;
ეს — აამებს
ვარდთან წამებს.
და თუთრ ფრთებით,
ნას ტუჩებით
ვარდს, ფერებით,
ჭკონის ვნებით...
ვურ ქუჩებზე...
ფრთა ეწვება;

ძირს ედება
და კეგრება.
გრძობს, რომ კვდება,
გული წუდება,
ძირს ვარდება,
სული ზნდება!..
ირველიც ბელა ..
არ ქრის ნელა,
ვით ნათობა
ეს ზეპელა ..

დ. კობალი



მსახიობქალი ელო ანდრონიკაშვილი

დიდი ხანი არ არის, რაც სამშობლო სტენაზე გამოვიდა და მოკლე ხნის განმავლობაში უკვე სანატრიო სასჯელი მოიპოვა. იგი მართლ სტენაზე როლები აღმსრულებელი არ არის, არამედ ქართული სასცენო ხელოვნების ნამდვილი გამაგრებელი — პროპაგანდისტიც სასჯელ-მოხვეჭილ რეჟისორ-მსახიობ-მწერალთან, შალვა დადიანთან, ერთად იგი თავგამოდებით მუშაობდა დასავლეთ საქართველოში — მოგზაურ დასში და ბათუმის დრამატულ საზოგადოების დაფუძნებაში მასც დიდი ამაგი მიუძღვის. გარდა ამისა დაბა-სოფლებისა თუ ქადაქთა სტენაზე იგი მუდამ მუყაითად მუშაობდა, როგორც მსახიობი-იქადაქე. წელს ბაქოს დრამატულმა წრემ მიიწვია, სადაც თავისი ნიჭიერი თამაშით (დასრულდა რუსთა თუნიადაგანში „თეკლე პუტუსში“ ჭანუკე და სხ) სიუჟეტითა უურადღება დაიბსახუნა. პატარეველ მსახიობ-მოღვაწეს ბაქოს დრამ. წრე მომავალ კვირას, 28 ქრისტეობისა იყეს, ბენეფისის უმართავს. იმედია, ბაქოს საზოგადოება დირსეულად შეხვდება ქართული სცენის ამ დარსეულ მუშას.

ი. არ — თელი



მსახიობქალი მარგარიტა ქილაჯიშვილი

ეს ათი წელიწადია, რაც სტენაზე მსახუროებს. პირველად ქუთაისში გამოვიდა ვლ. მესხიაშვილის ხელმძღვანელობით და მას შემდეგ სან თბილისის სტენაზე მსახურება, სან ქუთაისისა და სხ. ამ ეამად ქუთაისის დასშია და ერთ სთავაღხინო ძადად ითვლება. მთელი ათი წლის განმავლობაში იგი მხნედ ვადოდა სამშობლო სცენის ნარკელან გზაზე და არასოდეს უღალატნია მისთვის. სამშაბათს, 23 ქრისტეობისთვის, მისი პირველი ბენეფისია (ეს ბენეფისია ამავე დროს მისი ათი წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულო წარმოდგენად ჩათვლება) და, იმედია, ქუთაისის საზოგადოება, რომელიც მუდამ უურადღებით ეზნობას სამშობლო სცენის მუშაეთ, ამ სახალკაზრდა სცენის მუყაით მუშაეს საბენეფისო წარმოდგენასაც დიდის უურადღებით მოეპურება, მით უმეტეს, რომ იგი საბენეფისოდ სდგამს ცნობილ ზიესა „ახალი მოძღარება“-ს. ვლ. მესხიაშვილას მიანწ.

სრეპელეზის კრიკლოსანი

(დამტკრული პოემები)

(გაგრძელება. იხ. „თ.“ და ც. „№40, 41)

21 ნოემბერი

მარი! მე ის აზრიც კი ჭკუიდანა მშლის, რომ შენ ოდესმე დამივიწყებ! რა დაგიზავე? მე ხომ მიყვარდი? მე ხომ მიყვარხარ? მე ხომ მეყვარები?. და ვინ შეგიყვარებს ჩემსავით, ვინ? .. და ნუ თუ შენ უნდა მიმატოვო, შენ, რომელიც მეუბნებოდი: „მასწავლე წამალი, მასწავლე, მეშინიან, რომ ამაზე ძალიან არ შემეყვარდეთა. შენ, რომელიც ჩემს გრძნობას „პატიოსან ვნებას“ უწოდებდი და პატიოსან ვნებას კი — „დარღუბალას“. და ნუ თუ შენ უნდა დამივიწყო, შენ რომელიც ყურში ჩამშრიალ ჩამჭურჩულედი: შენი ვარ, შენი!.. მე სიკვდილსაც კი არ დავანებებ შენს თავსო!.. და ის ჩურჩული ხომ შენი აბრეშუმის კაბის შრიალს მაგონებდა?.. და ნუ თუ შენ უნდა დამივიწყო, შენ რომელიც ჩვეულებრივ-მეუბნებოდი: აბა, როგორ გიყვარვარ — გაიმეორე, კიდევ მითხარ, მითხარ, რომ გიყვარვარო! და მეც შემოგყვები: „მიყვარხარ“, „მიყვარხარ“, „მიყვარხარ“ მეთქი. შენ თურმე ამით კმაყოფილდებოდი, შენ თურმე შენს „სიყვარულს“ ამით იოკებდი: მე თურმე მართა ვიყავი, რომელიც შენს ვნებათა-ღელვას ვაგრძელებდი .. აახხ, მარი! მარი! შენ თურმე ჩემი ტანჯვა გინდოდა, და აკი მიახწიე კიდევ მიხანს! შენ სტკბებოდი ჩემი ტანჯვით, შენ გიხაროდა, როცა მე ექვისაგან არ ვიცილებოდი და შენ კი ჩემდა გასაჯავრებლად ახალ-ახალ საყვარლებთან ქღურტულედი და.. ქღურტულედი თურმე შენ ჩემი ეჭვი გახარებდა, გართობდა. მართალი უთქვამს ევრას: „არმოიპოვება იმისთანა დედაცაც, რომელიც კმაყოფილი არ იყოს იმ შემთხვევით, როდესაც იმის არჩეული სატრფო ექვიანობით იტანჯებაოა. აახხ, მარი! მარი! ნუ თუ ქალი დასაბამიდან ღღევეანდლამდე მხოლოდ საწყველად გაჩენილა?

22 ნოემბერი

ბაბო! შენ კი ჩამცივებოხარ, ხეტი და უზრდელი ხარო. ჩემო კარგო, ნუ თუ არ

იცი, რომ ბუნების შეილი ყოველთვის უხე- შია და უზრდელი... ამას გარდა: ნუ თუ აქ- ნობამდე ვერაფერი შემატყე? ვერაფერი! ვე- რაფერი! ჰო-და, უხეში და ტლანკი შენა ყოფილხარ, რომ ეხლა გაიგე ჩემი უზრდე- ლობა.

23 ნოემბერი

პელო! ნუ თუ შენ ბედავ და ამბობ, რომ კაცებს სიყვარული არ შეგიძლიათო! და რას უწოდებ სიყვარულს? ნუ თუ ეს სიყვარულია: ცხონებული შენი ქმარი რომ გარდაიცვალა, შენ ექვსი ცხვირსახოცი გა- მოიცვალე და ცურის ცრემლით გაუღენთი- ლი, და სწორედ შენი ქმრის გარდაცვალე- ბიდან, ექვსი კვირის შემდეგ, ექვსი საყვარე- ლი გაუვა: ექვსივეს ჰპირდებოდი ბენდიერე- ბას და ერთსა და იმავე დროს ექვსივეს ჰლა- ლატობდი და ატყუებდი! და ამის შემდეგ შენ ბედავ და ამბობ, რომ კაცებს სიყვა- რული არ შეგიძლიათო, და ნუ თუ ეს არის სიყვარული? ხმა! კრინტი!

24 ნოემბერი

ქეთინო! სალამი! დღეს თავი ვერ მო- ვიეშხე. ამასთანავე საძაგელ, ამინდია და ამი- ტომაც ვერა გწერ ვრცელ ჩემებურ წერილს. და ცდილი მაქვს: როცა შენი ბარათი მომივა, ან ქეშათ მიძინავს, ან თუ ქიშმიშის მტვევანი ექამე—მეორე დღეს უეჭველად ან წვიმა უნ- და იყოს ან—ქარაშოკი. საძაგელი ამინდია... ხოში არა მაქვს. და შენ კი დარწმუნებუ- ლი ვარ, კვლავ მისაყვედურებ: „წერილი! წე- რილი! ორიოდ სიტყვით ვერ აავსებ ჩემს სულსო! ჩემო! აი, ჩამოხვალ საშობაოდ და აღზად ყველაფერს გამოვარკვევთ მხოლოდ იმან კი ვამაყვირვა, რომ არა ჯგერა ჩემი სიყვარული და მწერ: თუ გიყვარვარ ჯვარს დაიწერო. ჯვა- რი არაზბატი არ გინდა! და ნუ თუ მაშინ დავამ- ტკიცებ ჩემს სიყვარულს? მიყვარხარ და სწორედ ამიტომაც ვერ გატხოვრებ ჩემში; მიყვარხარ და სწორედ ამიტომაც არასოდეს არ უნდა შევერთოდეთ, გესმის არასოდეს. საძაგელი

ამინდია...საძველ გუნებაზე ვარ... ნახვამდის (და არა მშვიდობით) ..კარგად იყავ...დაწვრილებით პირის-პირ... გოცნი ყურის ძირში... შენი ზბაეშვი“ №...

25 ნოემბერი

ნონა! უბირველეს ყოვლისა უნდა მოგახსენო, რომ მე ერთი ოხერი ვინმე ვარ, პირდაპირი და მოუბრუნებელი, ერთი სიტყვით მე ვარ—როგორც ჩემი პირველი სატროფო მიწოდებდა—„გადაშლილი წიგნი“. შენ მითხარ ამწერეო და მეც...ვეცდები. სენა და გაგონება: რომ ვსთქვა ლამაზი ხარ მეთქი, არც ისეთი დასაფეთებელი ხარ; რომ ვსთქვა გონჯი და მახინჯია-მეთქი არც ეს იქნება მართალი. კრიტიკით შენა ხარ ჩვეულებრივი ქალი, ჩვეულებრივ ღირსება-ნაკლებლოვანებით აღსავსე... დიდებული ტანი გაქვს, აყრილი და წერწყეტა, მხოლოდ ამ ტანს შესაფერ-სიარული უნდა, რომელიც არ იცი. შეიძლება ამას, ზოგიერთი შენი თაყვანისმცემლები, ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ ამა კარგად დაგაკვირდნენ. არც ფეხები გივარგა: შენი ფეხები წოწოლაა და ზურგ-აბურთული, (მე ეს მაშინ შევამჩნიე, როცა სეირნობის დროს ტუფლის ბანტი მოგეშო და მე შევიკარი...გახსოვს?).ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ თავის ლექსში ქალის ფეხებს ბუდეშურის ყურძნის მარცვალს ადარებს... აი ფეხები—მესმის!.. ასეთი თუ არა, ამის მსგავსი ფეხები მაინც შეეფერებოდა შენს ტანს. მშვენიერი წარბები გაქვს—როგორც ყარაჩოდლები ამბობენ—ჯვარის მამის შოთებივით; მაგრამ სურმას რომ არ იგლესავდე, უმაჯობსი იქნებოდა. ჩინებული წამწამები გაქვს: აყვავებული და ატეხილი, მაგრამ ამ წამწამებს შესაფერი თვალები რომ არა აქვს? შენი თვალები ყოველთვის მცერიანია და ნესტიანი. არ მომწონს, არა, არა! შეიძლება წინეთ, ბავშვობის ხანად, სულ სხვა თვალები გქონდა და სულ სხვანაირათა დაძურფინავ-დაძყურებდნენ შენს ქალღმერთს და ლოყებს და შაქრის ცხვირს .. და ეხლა კი შეგმედვრა!? არ ვიცი! ეხლა კი შენი თვალები მხოლოდ ნასრეს აღუბაღს შემოძლიან შევადა-რო. გულ-მტერი კი .. ო, გულ-მკერი და ს-

უცხოვო გაქვს ..ჯერ მთის უბეში არც ერთი შრომანი არ გაშლილა შენს მკერდზე უთეთრესი და უსპეტაკესი. მხოლოდ აი ეს, შიგ ჩაგორებული ორი ნარინჯი რომ შეზარხოშებულივით ლასლასებს, ეს კი არ მომწონს. შენი ყელი, სადაფის სურსას ჰგავს სადაც მოთავსებულია შხამი და უფარახი, მაგრამ ამ ყარყარას სურსას პირი რომ არ უფარავ: შენ ტუჩები ფორთოხლის ორ ნაქერსა ჰგავს, კოცნით გამოსრუტულს, უწვევოს... თმები? როცა თმებს ჩამოიშლი შენს პატარა ოთახში—საყურის კოლოფივით პატარა ოთახში—მიხაკ-ღარიჩინის სუნოვანება ტრიალებს ხოლმე. ეს ყველაფერი გავრცეულად, მაგრამ საკმარისია დავიხლოვდეს ადამიანი, შეამჩნიოს ის სულ უბრალო ნაკლიც კი, რომლითაც მე უკვე გამაბეზინებ, —რომ სამუდამოდ შეგიზიზღოს... ამ ნაკლს შეუქველია ყველა შეგამჩნევს, როცა გათხოვდები! და... გათხოვდები კი?!

(უქანასწავლი—ლდვის სწორს)

ბ ა ს უ ხ ი

არ მინდა შენი ნაზი აღერსი, არ მინდა შენი ეგ თანაგრძობა: მე მაგ სიტყვებში არ მესმის ის, რაც ჩემს გულს დაატკობს, ჩემს სულს მისწვდება. მზე მიიწურა, და მისი სხივი ძლივს კავკასიონს ეაღერსება! მზე მიწურა: და ჩემი გულიც ფიქრებს კარს უღებს, ფიქრით ივსება... ..აგერ სამშობლოს ველი გაშლილი, მწუხრის ნიავი დაფრინავს მახე: მესმის კივილი იღუმულ ხმათა. მესმის ღიღინი ნალვლიან ხმაზე. და მოქანცული ბრბო შორსმავალი ფუსფუსით მიჰქრის ცხოვრების გზაზე, მღუმარებს არე, მღუმარებს მთები, მხოლოდ ვარსკვლავნი ბრწყინავენ ცაზე. მაგრამ მათ შორის ჩემი ვარსკვლავი აღარ ნავარდობს, აღარ ციმციმებს... და მე მას ვუცდი, ფიქრით მოცული, როდის ამოვა და გამოიკნებს. მაშ გამეცაღე, არ მინდა შენი ნაზი აღერსი, ეგ თანაგრძობა, მე მაგ სიტყვებში არ მესმის ის, რაც ჩემს გულს დაატკობს, ჩემს სულს მისწვდება!

მიმქრალი

ოვენი ღაჭრილნი—გაგა და შვილნი



პრაპ. მიხეილ ქავთარაძე

პოდპ. კკონსტ ქავთარაძე

პოდ ალ ქავთარაძე

ტუვედ წაიფანეს გერმანელებმა

ჯარითველ მხარალთა წარიღეზი

ლაღო აღნიშვილის წერილი
აღ. შირიანაშვილთან 1895 წ.
სპარსეთიდან მოწერილი.

(გაგრძელება. იხ. „მ. და ც.“ № 30)

ერთი მანძილი რთ გავიარეუ თეირანიდგან და მეორეს შეუდექით, ამოვარდა საშინელი ქარი და სიცივე დაიჭირა. დამე საშინელი ბეელი იყო, შეფარე გვიან ამოდიოდა. ვნახით, რაღაცესედე შეფრთხა ჩემი ჯორი და მოჭკურტხდა ირემივით. გადსტა გვერდსედ მინდორისკენ და გამაფრინა, თანაც სულ რთ მიჭინობდა, თავს მიანკეუდა, ისე რთ თითქმის ცხვირს დედამიწასედ სტეკდა.

მე ძალიან ქეხო ამჟელა, ვიკერდი, რაც ძალი და დონე მქონდა, მაგრამ ძალიან დონიერი იყო და ვერ დავიმორჩიდე.

გამიწედა ამასთანვე ცალი ტოტი აღვირინა და ზირველსავე თავის დაქევესედ ისეთ კისერსედ წამომიდო, რთ ასტეპითაც ვერ ამფხეკავდნენ. მართლა ისე მაგრა დამტა, რთ სასანიო უკან დარბოძლი ჩველადრები მოვიდოდნენ თითქმის 10 წამი აღვოდსედ გატეპული ვიყავ. რთ წამოვდეგ, ზალტო დავლევდილი მქონდა და გული მტკიოდა; ვინახე,—სათი თოდად დაჭულეტოლი იყო, ძალიან ჯავრი მომივიდა და ერთი კაი სილა ჩველადრს გავუტეულსუნე, რთ თუ ესეთი გეყო იყო, ჩემთვის რად შეეკასე მეთქი. თურმე ნუ იტყვი, გარსაკრი კარგად არა მქონდა მოჭირბული და, მე რთ ავდექე; უნაგირი სედ კისერსედ ედგა ჯორისა, ის ჩითირობდა იმის გამო. და სულ ტღინიკებსა მჭერიდა და თავს

იქევედა. ბოლოს თასმები გამოეღო ფეხებში და ისიც ჩემსავით მიწასედ დავტა. სინამ ჩავლადრები მიეშეველებოდნენ, მოთავიჯა უნაგირი და მოჭკურტხდა. კაი ნახევერ საათი მოუნდნენ იმის დაჭერას; მაგრამ ამჟელ დროს დოფრთხა მეორე ჯორი, მოთავიჯა ფაღანი და ბარგი და მოუსო. სინამ ამას დაიჭერდნენ, მე საბნები გამოშალეს და სედ ქეხსედ დამაწვიანეს, დაისვენეო. რთ საათ ნახევერს სდეეს უკან იმ ჯორს, სინამ მეტ კარტა ლახათიანად გამოვიდინე მაგრამ მთელი გზა სუ ავად ვიყავ და ორისამი დდე გამოუნელებელი სინხე მქონდა. მეორე დღეს მე ვეღარ შეეკელ ცხენსედ ჟდომა და გამოუტხადე ჩველადრს, რთ ან აქ დავრჩეები და თქვენ წადით მეთქი ან ორი დდე მთელი ქარგაი აქ გააჩერე მეთქი, სინამ მე კარგად შევიქნებოდე და ან სადმე ქეჯავაში უნდა მიშოგო აღვილი, რთ მოკეტილი ვაჯდე მეთქი. იმან, რსაკვერდელია, ეს უგანასეული არჩია.

ორი სეიდი იყო, ახლავსდა ბიჭები, ძმები და ქეჯავებში ისხდნენ. უთხრა იპთი, მაგრამ ძალიან შორს დაიჭირეს და სუთი „თუმინიდაზან“ (ჩვენებური ერ ი თუმინი) დაწვეს ვაჭრობას. სულ-კი რთ მანძილსედ ვთხოვდი, სინამ მეტ უედე გაჭნებები მეთქი. ბოლოს შეუდგნენ სხვა-და-სხვები და ერთ თუმნად (ორ მახედად) დაათხსმეს ერთ მანძილსედ. მივე ორი მანთი და მოვიკედე ქეჯავაში ბატონ-კატურად. მეორე მსარეს იმისი ძმა, სეიდი, იჯდა, მაგრამ დიდათ ეჩითირებოდა, რთ ვინც დავგინახავს,



დებკრეული სტრიქონები

(სევერიანინისებური*)

ფრთა-ასხმული მთის ნიაგი წყაროს მთიურს აჩუხჩუხებს,
მზის სხივებით აქათქათებს მთით წამოსულს ვერცხლის წყალსა;
ძაძა-ცმული ვარ მკმუნავი, სამოსს მზიურს ვინ მაჩუქებს?
სასოებით ვინ ამანთებს სევდით მოცულს, შუქ-მიმქრალსა?

მთას ნიაგი ფრთა-ასხმული აჩუხჩუხებს წყაროს მთიურს,
აქათქათე'ს მზის სხივებით ვერცხლის წყალსა, მთით წამოსულს;
ვარ მკმუნავი, ძაძა-ცმული, ვინ მაჩუქებს სამოსს მზიურს,
ვინ ამანთებს სასოებით შუქ-მიმქრალსა, სევდით მოცულს?

წყაროს მთიურს აჩუხჩუხებს ფრთა-ასხმული მთის ნიაგი,
მთით წამოსულს ვერცხლის წყალსა მზის სხივებით აქათქათებს;
სამოსს მზიურს ვინ მაჩუქებს? ძაძა-ცმული ვარ მკმუნავი,
სევდით მოცულს, შუქ-მიმქრალსა, სასოებით ვინ ამანთებს?

აჩუხჩუხებს წყაროს მთიურს მთის ნიაგი ფრთა-ასხმული,
ვერცხლის წყალსა, მთით წამოსულს, აქათქათებს მზის სხივებით;
ვინ მაჩუქებს სამოსს მზიურს? ვარ მკმუნავი, ძაძა-ცმული,
შუქ-მიმქრალსა, სევდით მოცულს, ვინ ამანთებს სასოებით? —

ს. აბაშელი

* იგორ სევერიანინი რუსეთის ახალი პოეზიის უკანასკნელი სიტყვაა. მის შემოქმედებაში არის პოეტური აღმადგურნა. არის ახალი სხივიც, მაგრამ მის მთავარს შემოქმედებითი თვისებას შეადგენს **ლექსის კითხვა**, რომელიც ბევრ მისს ნაწარმოებს ინტუიტურ შემოქმედების ელფერს უკარგავს. მოგვყავს ამგვარი „შემოქმედების“ ნიმუში. — ეს ლექსი დასწერა ჩვენის თხოვნით მგოსანმა ს. აბაშელმა.

დრამ. საზ. კრების შემდეგ ? ნაცნობი სილუეტები ?



იუზა ზარდალიშვილი
რაკოლინიკოვის როლში („დასა
შუელი და სსსკელი“)

რად.

რას იტყვის: სეიდი (წმინდა კაცია, მწყვდის ჩამომავლობადა სთვლიან თავის თავს) ანა-მაჰ-მადიანს გვერდით მოსჯდომიათ. მაინც ბოლო ვერ გაატანს და კარგადაა, როცა სილოცაყად ედმოვიდნენ, მოსწავა: „უბრძანე, შენი ბაჭი აქ ჩაჯდეს და შე იმის ცხენზედ შეუკვდიოთა“. კარგი, შეთქი, და შოგავსი ბიჭი გვერდზედ.

მგვრამ ერთი უბედურება სწორედ ქუჩაუა-ში ჩაჯდამა, ნამეტნეუ პირველად, როდესაც მან-დილიდან გამოდიან. რაც უნდა გწრთინილი ცხენი და ჭორი იყო, უნდა თავსედა შავი რამ გადააფაროს, რომ ვერ დაინახოს, თოჯორა-სხდებიან ქუჩაუაში, თორემ როდესაც გვერდებიან ჯიან ბრ-ბრ კაცო, ცხენი ფრთხება და აუცილებლად გადასწორებს. მერც თათქმის ერთი საათი ცხენი მოუსვენარია, სულ შეფითავს,

ეჩითარება და ჩველადარს უკლირავს ცოტა მან-დილზედ ჯილაბი, ვიდრე ცხენი არ გადავიწივებს და ამ თავის მდგომარეობას არ შეეჩუქვს.

თეირანში შეოფობას დროს ერთი ბაჭი დავიჭირე, სახელად მესროფი არუთინაფი, რუსული იტოდა, თეირანში ბრ კეარსედა მეტო შემსახურებოდა (დაეუკვანდი სხვა-და-სხვა ადგილებსი სანასედა და მოქეობასი კწეოდა) და აუკაცობა ანა შემომხეეოდა-რ. როცა ისხანანი-სეკენ წამოსავლას ვაზირბედი, ეაკეეს, მოქენედ ერთი ბიჭი მჭიდრებოდა და სანო-თათსი მუშტარა ჯდომანდა; მკრამ შე ისევე მესროფი ვარჩიე, რადგან ჩემს ჭკვეში ცოტად თუ ბეკრად შევე ვინტობდი, მგვრამ აღმოჩნდა, რომ სრულიად არ ვინტობდი: გაკეთობთ არას შეკეთებდა, ქმუდამ აუდამუფობის მიხეჯს იდებდა და თავის

უკულო ხარი თავისთვის არ იყო—სხვას ზუზებს უგერებდაო...



ქართველი ინტელიგენტი (პარისს დასტირის), ოხრადაც დარჩენილა, საქართველო, თუ კი ვერავი მტერი პარისს გააანადგურებს.

ქეიფზე დადიდა ჩემს აუადმოფობაში უფრო მკაცრები იყო, ვიდრე მომელოდი. ბოლოს სულმრუდობაზე შევაშხნე. ისმავჯნაში რა მოველ, აქ შევიტყე, რომ ერთი გავარდნილთაგანი ეყოფილა: სად მადსაი გაუტყნა, სად რა მოუზარა, სად რა; სად ცხეში არა მუდარა, სად რეგებში არ უტყნათა (ეს ერთი სასჯელთაგანია აქ). ერთის სიტყვით, წმინდა წელისა არ იყო. აქ, ისმავჯნაში, სომ ბატონი ის გახდა და მოსამსახურე მე: დღით გავდიოდა და შუორე დღით ანუ ორი დღის შემდეგ შემობრუნდებოდა, მგრამ სახლში ნახეკარ საათი არ დარჩებოდა, მხოლოდ თვლით დამენახებოდა და ისევე გზას გაუდგებოდა.

ვუთმინე, ვუთმინე და მერე მანქანაში ამაყვარ. დიდი აუადმაყალი ამიტეხს, თვისს ტყვეში რადაც სწადდა, რასი თუშანი ჭმარებებს ჩემით, მგრამ რადესაც კარგად შეტრეყე ხალხში, ეს ისტორიაც გათავდა.

მესამე დღეს, ვახსოვ, ჯვარი დაიწერა. თითონ არა აქვს-რა, ცოლს არა მოჭეოლია რა; რწინ მარტი უნახთ, უკან ახრდი“ და რა უნდა იყოს იმთი ცხოვრება? (მე, რასაკვირველია, ამისი ჯვარი არა მქვს). წინაღ გრიგორიანი ეოფილა, როგორც სომეხს; მერე გალორანტე-ბულა, შემდეგ გამაქმადანებულა და, როცა მე დავიტარე, კათოლიკე იყო, ესლა, ჯვარის დაწერის დროს, ისევე გალორანტეა, რადგან ლათინანებებს ბიშოპმა (ეპისკოპოსმა) ათი თუ-მანი (აქაურნი) მისცა და კათოლიკეების არქიმანდრიტი-კი ხუთ თუმანსაც არ აძლევდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მე უანი გუსისი— შან გუსისი ჩაი! ლექსისებური

ჩემო ქვეყანავ, ედემო სულისა, გულის სწორო, ჩემო კერავ, სამშობლო ჩემო!

მიყვარხარ, გეტრფი...
არავის ზეკაცს—მიფეს სიტყვისას არ უთქვამს, არც კალმის ოსტატს დაუწერია იმ სახის გრძნობა, რა გრძნობითაც მე შენთვის ვიწვი!

ვინ ძე აღამისა მსხვერპლად მოიტანს იმდენს ზეარაკსა, ჩემთვის უმწიკველო შენს საკურთხევლოზე, რამდენიც შენთვის მე მარად მზათა მაქვს შესაწირავად?!

და რო მიყვარხარ, განა მისთვის, რომ ლამაზი ხარ, უცხო წალოკთად გადაფურჩქენილხარ?

არა!

ხატება შენი ხომ გადამთიელსაც აჯადოცებს; ხიბლავს; იტაცებს...

მე რომ მიყვარხარ და გეტრფი—ეგ იმიტომ, რომ აგრე კეკლუცი ჩემი ხარ, ჩემი... და მეც შენი ვარ!..

ჩვენ თვლით ორი ვართ, ისე კი ერთი, განუყოფელ, განუშორებელ...

სამოთხევე ჩემო!

ჩემთა ზრახვათა ქირისუფალო...

ჩემთა წაილითა სასობავ

მე შენი მესმის—

შენ გესმის ჩემი...

დ. მესხი

ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

რაკი ერთი ფეხი შეესდგით ზღვრის ზუღ-
ტორიაში, უფრო ხალისიანად დაიწყოთ მუშაო-
ბა და სკემეს უფრო ენერგიულად შეუდექით.
შეიკრე წარმოდგენა იყო „დაძმვა“. ამ დროს
ძირედ დაგვესმინა დამსახურებულ მასწავლე-
ბელი ქალი ქ. ებ. ასათიანის, რომელმაც რეჟი-
ტიციებისათვის დაგვათმო სასწავლებლის ოთხ-
ნი; ამათანვე ერთს თავის მოწაფე ქალს, ებ

ვასო რაჟიაშვილმა (სირაჯის ბიჭი). საქირთა
შემდეგი წარმოდგენები აღინიშნათ: რა გი ამ
წარმოდგენისთვის ტუის დეკორაციები არს გვექონ-
და, ამისთვის ერთს წესურედ შეურმეს ერთი
ურემი ფოთლით მოგატანინეთ—2 მსკიად. ჩვე-
ნი ამხანაგობის რამდენიმე წევრი ვასო ჟანია-
შვილის (თეოდორაშვილი) თაოსნობით მახს-
თის გორაზე წავიდა ძიების ჩამოსატანად ღო-
ბისთვის, საბადოსო სასწავლებლის მოწაფე-
ბიც სამდერად მოგვიწვიეთ, და, როცა ვეკლა-
ფერი კარვად მოგაწვიეთ, მაშინ აწვიეთ ფარდა;
სტენის მომწიბო-დეკორაციები თვითვე ხე-
ლოსანი-სტენის მოფარენი იყვნენ, სშიდად ტა-
ნისამოსს და კრიმეშივე. ამ წარმოდგენასაც
დიდადი ხალხი დაესწრო. გასუთებმაც უურად-
ლებს მოგვაქცეთ: ზირევი რეგენზია დაბეჭდა
გას. „იყვრიაში“ ია ეკლადის ფსევდონიმით.



მ. თ. ასათიანი
დამსახურებული მასწავ-
ლებელი ქალი რომელმაც
სახ. თეატრის დაფუძნე-
ბას ხელი შეუწყო.



მ. იოსელიანი
(ჯაბაურისა)
რომელიც სახ. თეატრის
ასპარეზზე მხნედ მუშაობ-
და. ახლად მასწავლებელია

